



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

დამტკიცებულია  
სტუ-ს აკადემიური საბჭოს  
2012 წლის 6 ივლისის  
N 733 დადგენილებით

მოდულიზირებულია

სტუ-ს აკადემიური საბჭოს

2019 წლის 22 ოქტომბრის  
№ 01-05-04/318  
დადგენილებით

## მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა

### პროგრამის სახელწოდება

ბიზნესის ადმინისტრირება

Business Administration

### ფაკულტეტი

ბიზნესტექნოლოგიები

Business Technologies

### პროგრამის ხელმძღვანელი

ასოცირებული პროფესორი მაია ჩეჩელაშვილი; ასოცირებული პროფესორი ხათუნა ხარხელაური

### მისანიჭებელი კვალიფიკაცია

ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი  
(Master of Business Administration)

მიენიჭება საგანმანათლებლო პროგრამის არანაკლებ 120 კრედიტის შესრულების შემთხვევაში

### სწავლების ენა

ქართული

### პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (საერთო სამაგისტრო გამოცდა და სტუ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდები - ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს სასწავლო კურსებსა და ინგლისურ ენაში - დონე B2. ინგლისური ენის B2 დონის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში მსურველები თავისუფლდებიან აღნიშნული გამოცდიდან). გამოცდების საკითხები/ტესტები განთავსდება სტუ-ს სწავლების დეპარტამენტის ვებგვერდზე <http://www.gtu.ge/study/index.php> გამოცდების დაწყებამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე. პროგრამაზე ჩარიცხვა სამაგისტრო გამოცდებისგავლის გარეშე, შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

## პროგრამის აღწერა

პროგრამა შედგენილია ECTS სისტემით, 1 კრედიტუდრის 25 საათს, რომელშიც იგულისხმებაროგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელი მუშაობის საათები.

კრედიტების განაწილება წარმოდგენილია პროგრამის სასწავლო გეგმაში. პროგრამა გრძელდება 2 წელი (4 სემესტრი) დამოიცავს 120 კრედიტს. სასწავლო კომპონენტია - 90 კრედიტი, მათ შორის არჩევითი სასწავლო კურსები - 8 კრედიტი, საწარმოო პრაქტიკა - 6 კრედიტი. კვლევითი კომპონენტი - 30 კრედიტი, რომელიც მოიცავს სამაგისტრო ნაშრომის დაცვას.

სასწავლო პროცესი გაწერილია შემდეგი სახით: სემესტრი მოიცავს 20 კვირას, აქედან სასწავლო პროცესი მიმდინარეობს 16 კვირა. XVII კვირა ეთმობა თემატურ პროექტს და გამოცდისათვის მზადებას, XVIII-XIX კვირასტარდება დასკვნითი გამოცდა. XX კვირა, საჭიროების შემთხვევაში, ეთმობა დამატებით გამოცდას.

პირველი სემესტრი მოიცავს 6-კრედიტიან 5 ძირითად სასწავლო კურსს (30 კრედიტი). აქედან ერთი სავალდებულო კურსი (6 კრედიტი) არის ბილინგვური და იკითხება სტუდენტის მოთხოვნის შესაბამისად ქართულ/ინგლისურ ენაზე.

მეორე სემესტრი მოიცავს ორ ძირითად სასწავლო კურსს (5 კრედიტი), საიდანაც ერთი ბილინგვურია. სტუდენტი ირჩევს სასურველი სპეციალობის/სპეციალიზაციის შესაბამის საგანთა კონცენტრაციას, რომლიდანაც მეორე სემესტრი მოიცავს სამ სასწავლო კურსს (5, 6 და 5 კრედიტი, ჯამში - 16 კრედიტი) და ერთ არჩევით სასწავლო კურსს (4 კრედიტი). სპეციალობის/სპეციალიზაციის საგანთა კონცენტრაციას სტუდენტი ირჩევს პირველი სემესტრის ყველა ძირითადი სასწავლო კურსის გავლის შემდეგ.

მესამე სემესტრი მოიცავს ძირითად სასწავლო კურსს (6 კრედიტი), საგანთა არჩეული კონცენტრაციიდან სამ სასწავლო კურსს (5, 5 და 4 კრედიტი); ერთ არჩევით სასწავლო კურსს (4 კრედიტი) და საწარმოო პრაქტიკას ბიზნესის ადმინისტრირებაში (6 კრედიტი).

მეოთხე სემესტრში მაგისტრანტი იცავს სამაგისტრო ნაშრომს - 30 კრედიტი.

ბრძანებას მაგისტრანტის ხელმძღვანელისა და სამაგისტრო ნაშრომის დასახელების შესახებ გამოსცემს დეკანი მაგისტრანტის პერსონალური სამუშაო გეგმის შესაბამისად

[http://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/mag\\_debuleb\\_230819\\_SD.pdf](http://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/mag_debuleb_230819_SD.pdf)

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტი მოიცავს 30 კრედიტს. მისი სავალდებულო ელემენტია სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და დაცვა (30 კრედიტი).

მაგისტრანტი კვლევით კომპონენტს ასრულებს სამაგისტრო ნაშრომის თემის მიხედვით. სამაგისტრო კვლევა ფასდება მაქსიმუმ 100 ქულით.

სამაგისტრო კვლევის შეფასების კრიტერიუმები და სკალები მოცემულია მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასების წესში სტუ-ს ვებ გვერდზე:

[http://gtu.ge/pdf/magistraturis\\_debuleba\\_danarTi\\_4.pdf](http://gtu.ge/pdf/magistraturis_debuleba_danarTi_4.pdf)

მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი ნაშრომის გაფორმების ინსტრუქცია მოცემულია სტუ-ს ვებ-გვერდზე:

[http://gtu.ge/pdf/magistraturis\\_debuleba\\_danarti\\_5.pdf](http://gtu.ge/pdf/magistraturis_debuleba_danarti_5.pdf)

## პროგრამის მიზანი

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით არსებულ თეორიაზე, ინოვაციებზე და პრაქტიკულ კვლევაზე დაფუძნებული ღრმა და სისტემური ცოდნის სტუდენტისთვის გადაცემა; სტუდენტში ეფექტიანი მართვისა და ოპტიმალური მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების, პრობლემათა კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვისა და განხორციელების უნარის გამომუშავება; შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი მენეჯერის მომზადება

## სწავლის შედეგები და კომპეტენტურობები (ზოგადი და დარგობრივი)

### ცოდნა და გაცნობიერება:

აქვს ბიზნესის ადმინისტრირების ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც აძლევს ახალი იდეების შემუშავების საშუალებას. აცნობიერებს მენეჯმენტში, მარკეტინგში, აუდიტში, მცირე ბიზნესის

მართვაში, ბიზნესში გამოყენებული ინფორმაციული ტექნოლოგიების, ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტში არსებულ კონკრეტულ პრობლემებს; ბიზნესის ადმინისტრირების ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს.

**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:**

შეუძლია ახალ, გაუთვალისწინებელ საბაზრო ანდა მულტიდისციპლინურ მმართველობით გარემოში მოქმედება; კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება, კონფლიქტურ და კრიზისულ სიტუაციებში ორიენტირება, რისკფაქტორების განსაზღვრა, სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღება. უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება.

**დასკვნის უნარი:**

მმართველობითი გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭირო, რთული და არასრული ინფორმაციის, მათ შორის, უახლესი კვლევების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი; დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღება და რეალიზაცია.

**კომუნიკაციის უნარი:**

შეუძლია საკუთარი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების წარდგენა აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან აკადემიური პატიოსნების დაცვითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით.

**სწავლის უნარი:**

შეუძლია სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, სწავლის პროცესის თავისებურებების მაღალ დონეზე გაცნობიერება და შემდგომი სწავლის სტრატეგიულად დაგეგმვა.

**ღირებულებები:**

შეუძლია პროფესიული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებისადმი საკუთარი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა; იცავს ეთიკის, აკადემიური პატიოსნების ნორმებს.

**სწავლის შედეგების მიღწევის (სწავლება-სწავლის) მეთოდები**

ლექცია  სემინარი ( ჯგუფში მუშაობა)  პრაქტიკული  ლაბორატორიული  პრაქტიკა  საკურსო სამუშაო/პროექტი  კონსულტაცია  დამოუკიდებელი მუშაობა  სამაგისტრო ნაშრომი

სწავლებისა და სწავლის გამოყენებული მეთოდები და მათი განმარტება:

**დისკუსია/დებატები** – ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამალღებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტიურობას. დისკუსია შესაძლებელია გადიხარდოს კამათში და ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პედაგოგის მიერ დასმული შეკითხვებით. იგი უვითარებს სტუდენტს მსჯელობისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

**თანამშრომლობითი (Cooperative) სწავლება** – იმგვარი სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ თვითონ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. ჯგუფის თითოეული წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.

**ჯგუფური (Collaborative) მუშაობა** – ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფურად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალებების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ თავის მოსაზრებებს ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

**პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)** - მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს კონკრეტულ პრობლემას.

**ევრისტიკული მეთოდი** – ეფუძნება დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს პროცესი სწავლებისას ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება.

**შემთხვევების შესწავლა (Case study)** – პედაგოგი სტუდენტებთან ერთად განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს და ისინი ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს. მაგალითად, საინჟინრო

უსაფრთხოების სფეროში ეს შეიძლება იყოს კონკრეტული ავარიის ან კატასტროფის განხილვა, პოლიტიკის მეცნიერებაში - კონკრეტული პრობლემის ანალიზი და ა. შ.

**გონებრივი იერიში (Brain storming)** – ეს მეთოდი გულისხმობს თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი განაპირობებს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. მეთოდის გამოყენება ეფექტიანია სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედეგადად რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:

- პრობლემის/საკითხის განსაზღვრა შემოქმედებითი კუთხით;
- დროის გარკვეულ მონაკვეთში საკითხის ირგვლივ მსმენელთა მიერ გამოთქმული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად დაფაზე);
- შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად;
- შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ გასაზღვრული კრიტერიუმებით;
- გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება დასმულ საკითხს;
- უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა.

**როლური და სიტუაციური თამაშები** – წინასწარ შემუშავებული სცენარის მიხედვით განხორციელებული თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედონ საკითხს. იგი ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, ეს თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.

**დემონსტრირების მეთოდი** – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტიანია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მოვაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია როგორც მასწავლებლის, ასევე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს. დემონსტრირება შესაძლოა მარტივ სახეს ატარებდეს.

**ინდუქციური მეთოდი** – განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისკენ.

**დედუქციური მეთოდი** – განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.

**ანალიზის მეთოდი** – გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.

**სინთეზის მეთოდი** – გულისხმობს ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთლიანის დანახვის უნარის განვითარებას.

**ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი.** ამ მეთოდს მიეკუთვნება ლექცია, თხრობა, საუბარი და სხვ. აღნიშნულ პროცესში პედაგოგი სიტყვების საშუალებით გადასცემს, ხსნის სასწავლო მასალას, ხოლო სტუდენტები მოსმენით, დამახსოვრებითა და გააზრებით მას აქტიურად აღიქვამენ და ითვისებენ.

**წერიტი მუშაობის მეთოდი** – რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის მოქმედებებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის ან ესეს შესრულება და სხვ.

**ლაბორატორიული მეთოდი** – გულისხმობს შემდეგი სახის მოქმედებებს: ცდების დაყენება, ვიდეომასალის, დინამიკური ხასიათის მასალის ჩვენება და სხვ.

**პრაქტიკული მეთოდები** – აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს. ამ შემთხვევაში სტუდენტი შეძენილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ მოქმედებას, მაგალითად, საწარმოო და პედაგოგიური პრაქტიკა, საველე მუშაობა და სხვ.

**ახსნა-განმარტებითი მეთოდი** – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ.

პედაგოგმასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

**ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება** – მოითხოვს პედაგოგისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

**პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია** – პროექტზე მუშაობისას სტუდენტი რეალური პრობლემის გადასაჭრელად იყენებს შეძენილ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. პროექტით სწავლება ამაღლებს სტუდენტთა მოტივაციასა და პასუხისმგებლობას. პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. პროექტი განხორციელებლად ჩაითვლება, თუ მისი შედეგები თვალსაჩინოდ და დამაჯერებლად, კორექტული ფორმით არის წარმოდგენილი. იგი შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად; ასევე, ერთი საგნის ფარგლებში ან რამდენიმე საგნის ფარგლებში (საგანთა ინტეგრაცია); დასრულების შემდეგ პროექტი წარედგინება ფართო აუდიტორიას.

## სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.

დადებითი შეფასებებია:

- (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

არსებობს სტუდენტის შეფასების სამი ფორმა: მიმდინარე აქტივობის შეფასება, შუასემესტრული გამოცდა და დასკვნითი/დამატებითი გამოცდა.

შუალედური შეფასების მაქსიმალური ქულაა 60, აქედან: მიმდინარე აქტივობის მაქსიმალური ქულაა 30, მინიმალური ჯამური დადებითი შეფასებაა – 15 ქულა; შუასემესტრული გამოცდის მაქსიმალური ქულაა 30, მინიმალური დადებითი შეფასებაა – 15 ქულა, დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულაა 40, მინიმალური დადებითი ქულაა - 20.

დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებულ ქულათა რაოდენობას.

## დასაქმების სფერო

კურსდამთავრებულს შეეძლება დასაქმდეს საშუალო და ზედა რგოლის მენეჯერად, ანალიტიკოსად ან/და ექსპერტად :

- სახელმწიფო, სამთავრობო დაწესებულებებში და უწყებებში (სამინისტროები, დეპარტამენტები);
- სახელმწიფო ცენტრალური და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში;
- ადგილობრივ და უცხოურ სადაზღვევო, საშუამავლო, სადისტრიბუციო, საფინანსო, აუდიტორულ კომპანიებში, კორპორაციებში, საინვესტიციო ფონდებში, საექსპორტო-საიმპორტო სააგენტოებში;
- ანალიტიკურ სტრუქტურებში;
- სახელმწიფო და კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში;
- საერთაშორისო ორგანიზაციებში;
- მრეწველობის სხვადასხვა დარგის სახელმწიფო და კერძო ერთობლივ საწარმოებში;

- მცირე და საშუალო ბიზნესში;
- სატრანსპორტო-საექსპედიტორო სფეროში;
- არასამთავრობო სექტორში;
- ტურიზმის სფეროში, სასტუმრო ინდუსტრიის ობიექტებზე.

### სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამები

### პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსი

ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და პროფესორ-მასწავლებლები

თანდართული სილაბუსების რაოდენობა: 55

### პროგრამის საგნობრივი დატვირთვა

№	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი			
			I წელი		II წელი	
			სემესტრი			
			I	II	III	IV
	<b>ძირითადი სასწავლო კურსები</b>		<b>30</b>	<b>10</b>	<b>12</b>	
1	კომუნიკაციის სტრატეგიები	არ აქვს	6			
2	Communication Strategies	არ აქვს				
3	ბიზნესის კონკურენტუნარიანობა და ადმინისტრირება	არ აქვს	6			
4	ფინანსური ანგარიშგება	არ აქვს	6			
5	სტრატეგიული მენეჯმენტი	არ აქვს	6			
6	მარკეტინგის მენეჯმენტი	არ აქვს	6			
7	კვლევის მეთოდები ბიზნესში	არ აქვს		5		
8	პროფესიული ტექსტის რეფერირება	არ აქვს		5		
9	Professional Text Processing	არ აქვს				
10	ბიზნეს პროექტის მენეჯმენტი	არ აქვს			6	
11	საწარმოო პრაქტიკა ბიზნესის ადმინისტრირებაში	საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტი მინიმუმ-45 კრედიტი			6	
	<b>კონცენტრაცია I- მენეჯმენტი</b>			<b>16</b>	<b>14</b>	
12	საერთაშორისო მენეჯმენტი	ბიზნესის კონკურენტუნარიანობა და ადმინისტრირება		5		
13	ინოვაციური მენეჯმენტი	არ აქვს		5		
14	ბიზნეს პროცესების ინჟინერინგი და მენეჯმენტი	არ აქვს		6		
15	ადამიანური რესურსების სტრატეგიული მენეჯმენტი	არ აქვს			5	
16	საზოგადოებასთან ურთიერთობა	არ აქვს			5	

17	ხარისხის მენეჯმენტი	არ აქვს			4	
	<b>კონცენტრაცია II - მარკეტინგი</b>				<b>16</b>	<b>14</b>
18	საერთაშორისო მარკეტინგის სტრატეგია	მარკეტინგის მენეჯმენტი			5	
19	გაყიდვების მენეჯმენტი	მარკეტინგის მენეჯმენტი			6	
20	სტანდარტიზაცია და სერტიფიკაცია მარკეტინგში	არ აქვს			5	
21	გლობალური განაწილება და ლოგისტიკა მიწოდების ჯაჭვში	მარკეტინგის მენეჯმენტი				5
22	ინტერნეტ მარკეტინგი	არ აქვს				5
23	ბრენდმენეჯმენტი	საერთაშორისო მარკეტინგის სტრატეგია				4
	<b>კონცენტრაცია III- აუდიტი</b>				<b>16</b>	<b>14</b>
24	ფინანსური ანალიზი	ფინანსური ანგარიშგება			5	
25	აუდიტის კომპიუტერული საინფორმაციო სისტემები	არ აქვს			6	
26	მმართველობითი (შიდა) აუდიტი	არ აქვს			5	
27	კორპორაციული ფინანსები	არ აქვს				6
28	საგადასახადო პოლიტიკა	სტრატეგიული მენეჯმენტი				4
29	რისკოლოგია	არ აქვს				4
	<b>კონცენტრაცია IV- მცირე ბიზნესის მართვა</b>				<b>16</b>	<b>14</b>
30	მცირე და საშუალო ბიზნესის მართვა	ბიზნესის კონკურენტუნარიანობა და ადმინისტრირება			6	
31	სტრატეგიული მენეჯმენტი მცირე და საშუალო საწარმოებში	სტრატეგიული მენეჯმენტი			5	
32	ბიზნეს-სტრუქტურების ანალიზი	არ აქვს			5	
33	სერვის მენეჯმენტი	არ აქვს				5
34	გაყიდვების მენეჯმენტი მცირე და საშუალო ბიზნესში	არ აქვს				4
35	ბიზნესის უსაფრთხოება	არ აქვს				5
	<b>კონცენტრაცია V - ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტი</b>				<b>16</b>	<b>14</b>
36	საქმიანი თამაშები და ბიზნეს-სიმულაცია	არ აქვს			5	
37	საინფორმაციო სისტემების მენეჯმენტი	არ აქვს			6	
38	ვებ-ტექნოლოგიების გამოყენება ბიზნესში	არ აქვს			5	
39	ამოცანების დასმა და გადაწყვეტილების მიღების მოდელები	ბიზნესის კონკურენტუნარიანობა და ადმინისტრირება				5
40	IT-პროექტის მენეჯმენტი	არ აქვს				4
41	ბიზნესის მართვაში ხელოვნური ინტელექტის მეთოდების გამოყენება	არ აქვს				5
	<b>კონცენტრაცია VI - ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი</b>				<b>16</b>	<b>14</b>

42	ტურიზმის და მასპინძლობის მენეჯმენტი	ბიზნესის კონკურენტუნარიანობა და ადმინისტრირება		6		
43	ტურიზმი და ტრანსპორტის ინდუსტრია	არ აქვს		5		
44	სასტუმრო ინდუსტრიის თანამედროვე ტექნოლოგიები	არ აქვს		5		
45	ტურიზმის პოლიტიკა	სტრატეგიული მენეჯმენტი			5	
46	ბუნების გამოყენების ეკონომიკურ-ეკოლოგიური პოლიტიკა	არ აქვს			4	
47	ტურისტულ-საკურორტო მოდელები	არ აქვს			5	
<b>არჩევითი სასწავლო კურსები</b>						
48	თვითმენეჯმენტი	არ აქვს		4		
49	საქართველოს ეთნოლოგია	არ აქვს				
50	ბიზნესში კომპიუტერული მოდელირება	არ აქვს				
51	ანალიზის სტატისტიკური მეთოდები	არ აქვს				
52	საქმიანი ეტიკეტი და მოლაპარაკების ხელოვნება	არ აქვს			4	
53	დროის მენეჯმენტი	არ აქვს				
54	ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების შეფასება და ტრანსფორმაცია	არ აქვს				
55	მონაცემთა ბაზების მენეჯმენტი	არ აქვს				
<b>სემესტრში</b>			<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>-</b>
<b>სულ:</b>			<b>90</b>			
<b>კვლევითი კომპონენტი:</b>						
<b>სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და დაცვა</b>		პროგრამით გათვალისწინებულ ი ყველა სასწავლო კურსი				<b>30</b>
<b>სულ სემესტრში:</b>			<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>
<b>სულ წელიწადში:</b>			<b>60</b>		<b>60</b>	
<b>სულ:</b>			<b>120</b>			



პროგრამის სასწავლო გეგმა

№	საგნისკოდი	საგანი	ESTS	საათი									
				ლექცია	სემინარი (ჯგუფში მუშაობა)	პრაქტიკული	ლაბორატორიული	პრაქტიკა	საკურსო სამუშაო/პროექტი	შუამდგომარეობითი გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	დამოუკიდებელი მუშაობა	
1	BUA40113G 1-LS	კომუნიკაციის სტრატეგიები	6	30	30						1	1	88
2	BUA31913E 1-LS	Communication Strategies	6	30	30						1	1	88
3	BUA40413G 1-LSP	ბიზნესის კონკურენტუნარიანობა და ადმინისტრირება	6	30	14	16					1	2	87
4	BUA10113G 1-LSP	ფინანსური ანგარიშგება	6	30	20	10					1	2	87
5	BUA32113G 1-LSP	სტრატეგიული მენეჯმენტი	6	30	24	6					1	2	87
6	BUA32413G -LSP	მარკეტინგის მენეჯმენტი	6	30	20	10					1	1	88
7	BUA38613G 2-LSB	კვლევის მეთოდები ბიზნესში	5	15	8		22				2	2	76
8	BUA40213G 1-P	პროფესიული ტექსტის რეფერირება	5			45					1	1	78
9	BUA40313E 1-P	Professional Text Processing	5			45					1	1	78
10	BUA34213G 1-LS	ბიზნეს პროექტის მენეჯმენტი	6	30	20	10					1	1	88
11	BUA44413G 1-R	საწარმოო პრაქტიკა ბიზნესის ადმინისტრირებაში	6			30		30			1	1	88
12	BUA32213G 1-LSP	საერთაშორისო მენეჯმენტი	5	30	9	6					1	1	88
13	BUA33213G 1-LSP	ინოვაციური მენეჯმენტი	5	30	12	3					1	1	78
14	BUA36502G 1-LSB	ბიზნეს პროცესების ინჟინერინგი და მენეჯმენტი	6	15	15		30				1	2	87
15	BUA37413G -LS	ადამიანური რესურსების სტრატეგიული მენეჯმენტი	5	15	30						2	2	76
16	BUA30913G 2-LS	საზოგადოებასთან ურთიერთობა	5	15	30						1	1	78
17	BUA33713G 1-LP	ხარისხის მენეჯმენტი	4	15		15					1	1	68
18	BUA54513G -LS	საერთაშორისო მარკეტინგის სტრატეგია	5	15	30						1	1	68
19	BUA32513G 1-LSP	გაყიდვების მენეჯმენტი	6	30	22	8					1	1	88
20	BUA50513G 1-LP	სტანდარტიზაცია და სერტიფიკაცია მარკეტინგში	5	15		30					1	1	78

21	BUA38113G 2-LSP	გლობალური განაწილება და ლოგისტიკა მიწოდების ჯაჭვში	5	15	22	8				1	1	78
22	BUA50613G1 -LS	ინტერნეტ-მარკეტინგი	5	15	30					1	1	78
23	BUA32913G 1-LSP	ბრენდმენეჯმენტი	4	15	11	4				1	1	68
24	BUA23713G 1-LSP	ფინანსური ანალიზი	5	15	14	16				1	2	77
25	BUA10413G 1-LB	აუდიტის კომპიუტერული საინფორმაციო სისტემები	6	30			30			1	1	88
26	BUA10313G1 -LSP	მმართველობითი (შიდა) აუდიტი	5	15	22	8				1	1	78
27	BUA26713G 1-LP	კორპორაციული ფინანსები	6	15		45				1	3	86
28	BUA10213G 1-LS	საგადასახადო პოლიტიკა	4	15	15					1	1	68
29	BUA26213G 1-LS	რისკოლოგია	4	15	15					1	1	68
30	BUA32613G 1-LSP	მცირე და საშუალო ბიზნესის მართვა	6	30	15	15				1	1	88
31	BUA33013G 1-LSP	სტრატეგიული მენეჯმენტი მცირე და საშუალო საწარმოებში	5	15	15	15				1	1	78
32	BUA41013G 1-LS	ბიზნეს-სტრუქტურების ანალიზი	5	15	30					1	1	78
33	BUA33613G 1-LS	სერვის მენეჯმენტი	5	15	15					1	1	68
34	BUA38013G 2-LSP	გაყიდვების მენეჯმენტი მცირე და საშუალო ბიზნესში	4	15	10	5				2	2	66
35	BUA40713G 1-LSP	ბიზნესის უსაფრთხოება	5	15	14	16				1	1	78
36	BUA41813G 1-LP	საქმიანი თამაშები და ბიზნეს- სიმულაცია	5	15		30				1	1	78
37	BUA33413G 1-LS	საინფორმაციო სისტემების მენეჯმენტი	6	30	30					1	1	88
38	BUA40913G 1-LB	ვებ-ტექნოლოგიების გამოყენება ბიზნესში	5	15			30			1	1	78
39	BUA41113G 1-LP	ამოცანების დასმა და გადაწყვეტილების მიღების მოდელები	5	15		30				1	1	78
40	BUA71008G 1-P	IT-პროექტის მენეჯმენტი	4			30				1	2	67
41	BUA41213G 1-LB	ბიზნესის მართვაში ხელოვნური ინტელექტის მეთოდების გამოყენება	5	15			30			1	1	78
42	BUA33513G 1-LSP	ტურიზმის და მასპინძლობის მენეჯმენტი	6	30	15	15				1	1	88
43	BUA41313G 1-LSP	ტურიზმი და ტრანსპორტის ინდუსტრია	5	15	15	15				1	1	78
44	PES13613G1 -LSP	სასტუმრო ინდუსტრიის თანამედროვე ტექნოლოგიები	5	15	20	10				1	1	78
45	BUA41513G 1-LSP	ტურიზმის პოლიტიკა	5	15	15	15				1	1	78
46	BUA38213G	ბუნების გამოყენების ეკონომიკურ-	4	15		15				4	2	64

	<b>2-LSP</b>	ეკოლოგიური პოლიტიკა										
47	<b>BUA41613G1-LSP</b>	ტურისტულ-საკურორტო მოდელები	5	15	15	15				1	1	78
48	<b>BUA33913G1-LSP</b>	თვითმენეჯმენტი	4	15	6	9				1	1	68
49	<b>HEL20412G1-LS</b>	საქართველოს ეთნოლოგია	4	15	15					1	1	68
50	<b>BUA42113G1-LS</b>	ბიზნესში კომპიუტერული მოდელები	4	15	15					1	1	
51	<b>BUA38713G2-LSP</b>	ანალიზის სტატისტიკური მეთოდები	4	15	4	11				1	1	68
52	<b>BUA49213G1-LS</b>	საქმიანი ეტიკეტი და მოლაპარაკების ხელოვნება	4	15	15					1	1	68
53	<b>BUA32713G1-LSP</b>	დროის მენეჯმენტი	4	15	11	4				1	1	68
54	<b>BUA41413G1-LSP</b>	ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების შეფასება და ტრანსფორმაცია	4	15	8	7				1	1	68
55	<b>BUA33313G1-LS</b>	მონაცემთა ბაზების მენეჯმენტი	4	15	15					1	1	68

პროგრამის ხელმძღვანელები  
ხათუნა ხარხელაური

მაია ჩეჩელაშვილი

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის  
სამსახურის უფროსი

ნინო ჩიკვილაძე

ფაკულტეტის დეკანი

რუსუდან ქუთათელაძე

**შეთანხმებულია**

სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან

ირმა ინაშვილი

**მოდირიცირებულია**

ბიზნესტექნოლოგიების  
ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე  
9 ოქტომბერი, 2019 წ. ოქმი № 10  
ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

რუსუდან ქუთათელაძე

პროგრამის სწავლის შედეგი<sup>1</sup>

N	სასწავლო კურსი										
1	კომუნიკაციის სტრატეგიები	1							1		2
2	Communication Strategies								1		2

პროგრამის სწავლის შედეგებში მიუთითეთ შესაბამისი რიცხვები: გაცნობა - 1; გაღრმავება - 2; განმტკიცება - 3.

3	ბიზნესის კონკურენტუნარიანობა და ადმინისტრირება	2	2	2		2					2
4	ფინანსური ანგარიშგება	1			1	1	1	1	1	1	
5	სტრატეგიული მენეჯმენტი	2	2	2	2	1				1	1
6	მარკეტინგის მენეჯმენტი	2		1	2	2	2	1	1	1	1
7	კვლევის მეთოდები ბიზნესში				2		2	2		2	
8	პროფესიული ტექსტის რეფერირება							2	2	2	2
9	Professional Text Processing							2	2	2	2
10	ბიზნეს პროექტის მენეჯმენტი	3	3		3		3	3	3	3	
11	საწარმოო პრაქტიკა ბიზნესის ადმინისტრირებაში	3	3	3	3	3	3	2			3
12	საერთაშორისო მენეჯმენტი	3		3		3			3		3
13	ინოვაციური მენეჯმენტი		3			3	3		3		3
14	ბიზნეს პროცესების ინჟინერინგი და მენეჯმენტი	3	3		3			3		3	3
15	ადამიანური რესურსების სტრატეგიული მენეჯმენტი	3	3	3	3	3			3	3	3
16	საზოგადოებასთან ურთიერთობა	3	3	3	3	3		3	3		3
17	ხარისხის მენეჯმენტი		3			3	3	3			3
18	საერთაშორისო მარკეტინგის სტრატეგია	3	3	3	3	3	3	3	3	3	3
19	გაყიდვების მენეჯმენტი	3		3			3		3	3	3
20	სტანდარტიზაცია და სერტიფიკაცია მარკეტინგში	3								3	3
21	გლობალური განაწილება და ლოგისტიკა მიწოდების ჯაჭვში	3	3	3	3	3	3		3		3
22	ინტერნეტ-მარკეტინგი	3	3	3	3		3	3	3		3
23	ბრენდმენეჯმენტი	3	3	3	3	3	3	3	3	3	3
24	ფინანსური ანალიზი	2			2	2	2	2	2	2	
25	აუდიტის კომპიუტერული საინფორმაციო სისტემები	3	3	3			3		3		
26	მმართველობითი (შიდა) აუდიტი	3		3	3	3	3	3	3	3	3
27	კორპორაციული ფინანსები	3		3	3	3	3	3	3	3	3
28	საგადასახადო პოლიტიკა	3			3			3		3	
29	რიკოლოგია	3	3	3	3			3			
30	მცირე და საშუალო ბიზნესის მართვა	3	3	3		3			3		3

პროგრამის სწავლის შედეგებში მიუთითეთ შესაბამისი რიცხვები: გაცნობა - 1; გაღრმავება - 2; განმტკიცება - 3.

31	სტრატეგიული მენეჯმენტი მცირე და საშუალო საწარმოებში	3	3	3	3	3			3	3	3
32	ბიზნეს-სტრუქტურების ანალიზი	3	3	3	3	3			3		3
33	სერვის მენეჯმენტი	3	3	3	3	3			3		
34	გაყიდვების მენეჯმენტი მცირე და საშუალო ბიზნესში	3		3			3		3	3	3
35	ბიზნესის უსაფრთხოება		3	3			3	3		3	3
36	საქმიანი თამაშები და ბიზნეს-სიმულაცია	3	3	3	3				3	3	3
37	საინფორმაციო სისტემების მენეჯმენტი		3	3	3			3	3	3	
38	ვებ-ტექნოლოგიების გამოყენება ბიზნესში		3	3	3			3	3	3	
39	ამოცანების დასმა და გადაწყვეტილების მიღების მოდელები	3	3	3		3			2		3
40	IT-პროექტის მენეჯმენტი		3	3	3	3	3		3		
41	ბიზნესის მართვაში ხელოვნური ინტელექტის მეთოდების გამოყენება	3	3		3			3			
42	ტურიზმის და მასპინძლობის მენეჯმენტი	3		3	3	3	3		3		
43	ტურიზმი და ტრანსპორტის ინდუსტრია	3		3	3	3	3		3		
44	სასტუმრო ინდუსტრიის თანამედროვე ტექნოლოგიები	3	3	3	3	3	3		3	3	3
45	ტურიზმის პოლიტიკა	3			3			3		3	
46	ბუნების გამოყენების ეკონომიკურ-ეკოლოგიური პოლიტიკა	3			3			3		3	
47	ტურისტულ-საკურორტო მოდელები	3	3	3	3	3	3	3	3		
	სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა	3	3	3	3	3	3	3	3	3	3

პროგრამის სწავლის შედეგებში მიუთითეთ შესაბამისი რიცხვები: გაცნობა - 1; გაღრმავება - 2; განმტკიცება - 3.

პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა<sup>2</sup>

N	პროგრამის მიზნები	სტუდენტს აქვს ბიზნესის ადმინისტრირების ტრენინგების სფეროს დამატებითი ტერმინოლოგია, რომელიც გამოეყენება სახალხო, ორიგინალური იდეების შემუშავებისას. კერძოდ: სილამისი, მარკეტინგი, აუდიტინგი, მცირე ბიზნესის მართვაში, ბიზნესში გამოყენებული ინფორმაციული ტექნოლოგიების, ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტში არსებული კონკრეტული პრობლემები.	სტუდენტს აქვს ბიზნესის ადმინისტრირების ცალკეული პრობლემის გადაჭრის უნარი; IT - ტექნოლოგიების როლსა და მნიშვნელობას ბიზნესის ადმინისტრირებაში.	სტუდენტს შეუძლია ახალ, გაუთვალისწინებელ საზაზრო ან მულტიდისციპლინურ მმართველობით გარემოში მოქმედება.	შეუძლია კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება, ბიზნესის სტრატეგიის შემუშავება და ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღება. უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით კვლევის დამოუკიდებლად წარმართვა.	სტუდენტს შეუძლია მენეჯერული გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭირო, რთული და არასრული ინფორმაციის, მათ შორის, უახლესი კვლევების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება;	მოპოვებულ მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი; დამოუკიდებლად მიღებული გადაწყვეტილების იმპლემენტაცია; ეკონომიკური გარემოს ზემოქმედების შეფასება და ტენდენციების განზოგადება.	სტუდენტს შეუძლია ბიზნესის ადმინისტრირების და პროფესორების, ბიზნესის კვლევის მეთოდების არგუმენტირება, წერილობითი და ზეპირი პრეზენტაცია აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან აკადემიური პატიოსნების სტანდარტების დაცვით;	შეუძლია კომუნიკაცია როგორც პროფესიონალებთან, ასევე, არაპროფესიონალებთან; იცის კომუნიკაციის სტრატეგიების თავისებურებათა შესახებ, რაც უზრუნველყოფს ეფექტური კომუნიკაციის წარმართვისათვის აუცილებელ კომპეტენციას ჩამოყალიბების შესაძლებლობას; ამყარებს ურთიერთობას ლაკონური, ლოგიკური და ეფექტური წერილობითი შეტყობინების პროდუქტების სტრატეგიებისა და ტექნიკის გამოყენებით.	სტუდენტს შეუძლია მენეჯმენტში, მარკეტინგში, აუდიტში, მცირე ბიზნესის მართვაში, ბიზნესში გამოყენებული ინფორმაციული ტექნოლოგიების, ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტში სწავლის პროცესის დამოუკიდებლად წარმართვა.	სტუდენტს შეუძლია პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების, კომპანიის ფასეულობების, ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.
1	ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით არსებულ თეორიაზე, ინოვაციებზე და პრაქტიკულ კვლევაზე დაფუძნებული ღრმა და სისტემური ცოდნის სტუდენტისთვის გადაცემა;	✓	✓						✓	✓	
2	სტუდენტში ეფექტიანი მართვისა და ოპტიმალური მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების, პრობლემათა კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვისა და განხორციელების უნარის გამოუმუშავება;			✓	✓	✓	✓	✓			
3	შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი მენეჯერის მომზადება.	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓

<sup>2</sup> პროგრამის სწავლის შედეგები მონიშნეთ „✓“ სიმბოლოთი.

პროგრამის სწავლის შედეგებში მიუთითეთ შესაბამისი რიცხვები: გაცნობა - 1; გაღრმავება - 2; განმტკიცება - 3.